№ 249 ოთხშაბათი, 5 ივნისი 1918 წ. № 249

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბათომიდან იტყობინებიან, რომ ჩვენს დელეგაციას ხელი უწერია წინასწარ შეთანხმებაზე ოსმალეთთან: ბათუმი და ახალციხის მაზრები გარდა აბასთუმან-აწყურის რაიონისა ოსმალოების ხელში გადადის; ოსმალოებს უფლება ექნებათ მსოფლიო ომის დასრულებამდე ჩვენი რკინის გზით ისარგებლონ.—გუშინ მთავრობასა და ეროვნულ საბჭოს ფრაქციათა წარმომადგენლებს საგანგებო სხდომა ჰქონდათ ზავის საქმეების გამო.

ᲒᲐᲛᲪᲮᲐᲓᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ჰეტიტით ღირს 50 კაპ., უკანახკნელზე—30 კაპ., კეკეხიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ჰეტიტ ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი ხაზგასმიანი განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მანეთ., 20×2 ღირს 15 მან., 3 ხაზის შემდეგ ხაზგასმიანი განცხადება მიიღება სტამბა „ახალი ხალხში" (კ. თავართქილაძესეული „ნადვილი") ბარათის ქუჩა, ხახლი № 14 ან ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კეკეხიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დახმარების განცხადებები მიიღება „ახალი ხალხის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაბრუნდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, ახახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ᲤᲐᲡᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ 40 ᲙᲐᲞ. ᲠᲙ. ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲣᲠᲔᲑ. 50 ᲙᲐᲞ.

ᲤᲝᲚᲔᲤᲝᲜᲘ 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 3 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის უთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ირაიდა ალფეზის ასული ლამბაშიძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 6 ივნისს გარდახვეული იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი შეუღლის და მამის, სახალხო მასწავლებლის,

იასონ ხარიტონის ძის ლამბაშიძის

სულის მოსახსენებლად. ს. შროშაში. საფლავი ძარეული. 587-1

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

სახალხო სახლი

სახალხო სახლის 1 ციკლის მოყვარეთა მიერ

ხუთშაბათს, 6 ივნისს 1918 წ.

წარმოდგენილი იქნება:

ნამუსისათვის

დრამა 4 მოქ. შირვანზადეს თარგმ. კ-ნის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნი არჯევანიძე, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნინონი, ბ. ბ. ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ალ. მეტრეველი, ი. მინდიაშვილი და ჯანკვატაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 35 კ.-დე. ბილეთების კასა ღია ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს. წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან ბავშვების შეშფოთება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. შემდეგი წარმოგენა 9 ივნისს.

რეჟ. კ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშეწყე ალ. ბადრიძე.

ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია. 587

დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შენკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—90.

დღეს, ივნისის 5-სა და ხვალ 6 გაიმართება

დიდი წარმოდგენა

„ნონ პლიუს ულტრა" ყველა მსახიობის მონაწილეობით: მონაწილეობენ გლუპიშკინი, რანდი, იამოდა-სა ნ, ელმერალდა, იუსჰეიმი, ზოლოტარიოვი, ერიკეი, ვლადიმიროვი და სხვანი.

ანონსი: პარასკევს, 7 ივნისს მზადდება სალი სულეიმანის ბენეფისი.

მთავარი ადმინისტრატორი: ჰ. ელიზაროვი. 588

ბინები და ოთახები

თანახმად საბჭოს დადგენილებისა ქალაქის გამგეობა აქვეყნებს შემდეგ დამატებითი სავალდებულო დადგენილებას:

1) აკრძალულია ოთახებისა და ბინების გაქირავება რეკვიზიციის ან სარეკვიზიციო უწყების მიღების შემდეგ.

2) აკრძალულია იმ ოთახებისა და ბინების გაქირავება, რომელიც ქალაქის გამგეობის საბინო განყოფილებას აქვს უკვე აღნუსხული.

3) ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან თანახმად სსკ. წესდებულ. მე-29 მუხლისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა. 1158

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალური პიესებისთვის.

პრემიები ესენი განაწილებული:

პირველი პრემია (ერთი)	—	—	1000 მან.
მეორე პრემია (ორი)	—	—	700 „
მესამე პრემია (ერთი)	—	—	500 „

პიესებს განიხილავს იმისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დაბეჭდილ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს **თავის სახელს, გვარს** და პიესის სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამუდამოდ გამოირკვევა რომელ პიესას რა პრემია აქვს მინიჭებული.

პრემიით დაჯილდოებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა საზოგადოებას ავტორებით დრამატ. საზოგად. 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დანიშნულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარედგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა, ტფილისი. 113

ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲤᲚᲝᲑᲐ. 5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1918 Წ.

ყოველს სახელმწიფოს **საზღვრები** აქვს საზღვრები, რომლებსაც დაცვა უნდა და გამაგრება. **დამოუკიდებლობის** გამოცხადების დროს საქართველოს რესპუბლიკის **საზღვრები** გამოცხადებული არა ყოფილა, რადგანაც განსაკუთრებულ პირობებში მოგვიხდა ამ დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაგრამ სულ მოკლე ხანში ჩვენ დაგვეპირდება საზღვრების დაცვა გამაგრება. ამისთვის უპირველესად ყოველსა საჭიროა საქართველოს ტერიტორია გაიწმინდოს ისეთი შეიარაღებული ელემენტებისაგან რომლებიც საქართველოს სუვერენობას არა სცნობენ და საქართველოს მთავრობას არ ემორჩილებიან. ამ მხრით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი როგორც სოხუმის მხრით ისე დარიალის ხეობასა და ტფილისის გუბერნიაში. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას **ტფილისის გუბერნიის** შესახებ, **რომლის ერთ ნაწილში** გრძელდება ადგილობრივ მცხოვრებთა თვითნება მოქმედება. ტფილისის გუბერნიის ეს რაიონი დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს საქართველოს საწინააღმდეგო ელემენტებისაგან და აღდგენილ იქმნას მტკიცე საზღვრები, რომლის შიგნითაც შეუზღუდველად უნდა განხორციელდეს და განმტკიცდეს საქართველოს სუვერენიტეტი.

ყველა ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული ჯარი, ისე ვსთქვათ, მოსაზღვრე ჯარი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი ძალის შექმნას. ჩვენ, როგორც არა ერთხელ თქმულა, განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებით. საერთაშორისო საყოველთაო ომის შედეგების ლიკვიდაცია არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც ეს შეიძლება ერთის შეხედვით ეჩვენოს ადამიანს. ზავითაც რომ გათავდეს საქმე, მაინც დაიმედებულნი არ უნდა ვიყოთ, რომ უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი შინაური ცხოვრების მყუდრო განვითარება. ამ მყუდროების შესაქმნელად უმთავრეს პირობად უნდა ჩაითვალოს საზღვრების დაცვა და ჩვენც ვთხოულობთ, ვინაგანაც ჯერ არს, რომ საზღვრების დაცვის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" ახასიათებს ახალციხის და ახალქალაქის მაზრების მნიშვნელობას ისტორიულ-ეთნოგრაფიულის მხრით და შემდეგ ამბობს:

მაგრამ ამ ორი მაზრის მთავარი მნიშვნელობა მარტო ამაში როდია. მათ აქვთ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. ახალციხე საკმაოდ ძლიერი სიმაგრეა, ის გასაღებია ბორჯომის ხეობის. ვისაც ახალციხე და ახალციხის მაზრა უჭირავს, მას შეძლება აქვს, რამდენიმე საათში ჩავიდეს ბორჯომში და იქიდან ხაშურის შემწყობით რკინის გზას დაეპატრონოს, ხაშურიდან კი რამდენიმე საათის სავალია სურამის მთის გვირაბამდე. ახალციხის მხარეშია აგრეთვე მშვენიერი საადგილაკო ადგილი აბასთუმანი საიდანაც მტერს შეუძლია ზეკარის უღელტეხილს დაეპატრონოს და შემდეგ ბაღდადით ქუთაისს მიადგეს. ერთის სიტყვით, ახალციხის მაზრის ხელში ჩაგდებით ოსმალეთი მთელი საქართველოს ბედის ბატონი იქნება.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ახალქალაქსაც. აქედან მშვენიერი გზა მოდის მანგლისით ტფილისზე. საკმაო მტერს ახალქალაქი ეპყრას ხელთ, რომ ის რამდენიმე დღის განმავლობაში ტფილისს მოადგეს. არავითარი დამაბრკოლებელი ბუნებრივი ზღუდე ახალქალაქ-ტფილისს შუა არ არსებობს.

გარდა ამისა ახალქალაქს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ეს კუთხე იგივეა ჩვენთვის, რაც ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ადგილები რუსეთისთვის, მარტო ახალქალაქის მაზრას შეუძლიან მოიყვანოს იმდენი პური, რამდენიც მთელ საქართველოს გამოსაკვებად საკმაო იქნება.

ცხადზე უცხადესია, რომ ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დაკარგვით საქართველოს თავისუფლება ცარიელი სიტყვა ხდება და ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური არსებობა ყოველ მხრივ შეზღუდული იქნება.

სამშვიდოგო მოლაპარაკება

ბათომიდან იტყობინებიან, რომ ჩვენს დელეგაციას ხელი მოუწერია წინასწარ შეთანხმებაზე ოსმალეთთან. პირობის ძალით გარდა ბათომის ოლქისა ოსმალოების ხელში გადადის კიდევ მთელი ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრა გარდა აბასთუმან-აწყურის რაიონისა.

გარდა ამისა ოსმალეთს, ვიდრე ომია, შეუძლია თავისი ჯარი გადაიყვანოს ჩვენის რკინის გზით და გადაიტანოს აგრეთვე სურსათი.

გუშინ მთავრობასა და ეროვნულ საბჭოს ფრაქციათა წარმომადგენლებს საგანგებო სხდომა ჰქონდათ ამ საქმეების გამო.

მთავრობაში

3 ივნისის სხდომაზე მთავრობამ დადგინა: ეთხოვოს ყველა მინისტრს ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ პროექტები იმისა რაც იმათ სამინისტროს რეორგანიზაციას შეეხება.

ფოთის მუშების ჯამაგირის გადასახდელად გადაიდვა 564885 მ. დადგენილია ფოთში შედგენილ იქმნას კომისია მუშების ფულის გადასახდელად.

ახალციხეკი, დრანდი ბაკიზოვის რკინის გზის (250 ვერსის მანძილით) რაიონები საქართველოს რესპუბლიკის გამგეობაში გადადის მთელი თავისი ქონებით. შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდო ამ ქონების დაცვა თავის გამგეობაში მიღოს.

ფინანსთა მინისტრს მიენდო კანონპროექტი შეიმუშაოს მადნებისა და სხვა სიმდიდრის შესახებ. იმავ მინისტრს მთავრობამ დაუმოწმა, რომ აუცილებლად საჭიროა სომხურ და თათრულ ერი. საბჭოებს ამიერკავკასიის ბონების ნაწილი გადაეცეს.

საგარეო საქმეთა მინისტრი აკ. ჩხენკელი კონსტანციდან ბერლინში წავიდა, სადაც 3 ივნისს საღამოს უნდა ყოფილიყო.

იუსტიციის მინისტრმა შეადგინა კომისია, რომელშიაც განიხილეს ტუსაღების მოთხოვნილებანი.

სახელმწიფო კონტროლიორის ადგილზე ფ. გოგოჩაშვილის კანდიდატურა დაასახელეს.

გერმანიის საელჩოში

გერმანიის საელჩოში არის საქართველოს და ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ტექსტი. ამის შესახებ, გრაფ შულენბურგმა გუშინ, დილის $9\frac{2}{1}$ საათზე გაზეთების წარმომადგენლები მიიწვია. შულენბურგმა წარმომადგენლებს წარუდგინა ტექსტი განსახილველად, და გამოაცხადა, რომ მას ტექსტის გამოქვეყნება უბერხულად მიაჩნია, სანამ ამას საქართველოს მთავრობა არ გამოაქვეყნებს. საელჩოს წევრმა გამოაცხადა, რომ ოსმალეთმა შეკრა ზავი გერმანიის მოთხოვნით. იმავე წევრმა გამოაცხადა, რომ ადგილობრივი პრესა ამ შემთხვევას აღნიშნავს, და გამოსთქვა სურვილი, რომ პრესას მიაწვდენს ცნობებს გერმანიის, ოსმალეთის და სხვა წყაროებიდან, და აგრედვე პირობა დასდო, რომ ტფილისს რედაქციებს გერმანიის და უკრაინის გაზეთებს მიაწოდებს.

ომის დეპეშები

ბერლინი, 3 ივნისი. გერმანიის საომარი ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის ცნობა. დრო-გამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა. მტრის იერიშები ლეიელის დასავლეთით და ლისის ჩრდილოეთით მოვიგერიეთ. გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი: ნათლად ჩვენ მიერ დამარცხებულ კორპუსებისა ფრანგებმა ახალი ნაწილები გამოგზავნეს ბრძოლის ველზე. ისინი სრულებით ფუჭად სცდილობდნენ პოზიციების შერჩენას ესნეს ჩრდილოეთით. სასანგრო ბრძოლის შემდეგ ჩვენ ისინი მულენ-სუ-ტუვან-ს. ქრისტოვ ვესგრის ხაზისაკენ გავრეკეთ. სუასონის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ შაუდუნი ავიღეთ. ჩვენ ბრძოლით გადავლახეთ სავიერის დაბლობი ადგილი და ვილერ-სოტერიკის ტყის აღმოსავლეთ ნაპირს მივადწიეთ. ურსის სამხრეთით მტერს ძლიერი კონტრ-იერიშები მოჰქონდა. მათ დიდი ზიანი მივაყენეთ და გავრეკეთ. კურშამპსა და მუტიერს იქით ჩვენ ტერიტორიის ნაწილი ავიღეთ და დავიპყარით მაღლობები შატო-ტიერის დასავლეთით. მარნაზე, მარნასა და რეიმს შუა მდგომარეობა უცვლელია. ჩვენმა სჰაერო რაზმებმა ყუბბარები დაუშინეს, ბრძოლის ველისკენ მიმავალ რკინის გზას. ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 31 ჰაეროპლანი. ლეიტენანტმა ფენჭოფომა მე-29-ჯერ და მე-30 ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში, ლეიტენანტმა ლევენჰარდტმა და უდეტმა მე-25 ჯერ.

ბერლინი, 3 ივნისი. საღამოს საომარი ცნობა. სუასონის სამხრეთ-დასავლეთით რამდენიმე ადგილას გავიმარჯვეთ. ურსის ორსავე ნაპირას ფრანგების კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ.

რადიო-დეპეშები

მოსკოვის რადიო-სადგურიდან. რუსეთის რწმუნებულს ბერლინში იოფფეს. დღეს ივნისის 2-ს გრაფი მირბახი იყო სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის დაბრუნების შესახებ. ბარონ კიულმანი დეპეშით იტყობინება, რომ თქვენი განცხადების გამო ფლოტის დაბრუნების შესახებ, გერმანიის მთავრობა თქვენს წინადადებას იღებს. მე ამაზე უპასუხე, რომ თქვენ პირობები წაუყენეთ, ესე იგი: ჯარის გადაყვანის შეჩერება და რუსეთის რესპუბლიკის აბსოლუტური საკუთრების აღიარება ფლოტზე და გარანტიები, რომ იგი ომის დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ დაგვიბრუნდება. მე შევეკითხე: ბარონ კიულმანის დეპეშა მოასწავებს თუ არა მას, რომ ის თანხმდება ჩვენს პირობებზე, ხოლო ჩვენი აბსოლუტური საკუთრების აღიარება ჭეშმარიტად ნიშნავს მას, რომ გერმანელები თვითონ ისარგებლებენ ფლოტით; უარის თქმა წინ წაწევაზე ნიშნავს იმას, რომ ბატაისკი ჩვენს ხელში დარჩება. მირბახმა მიპასუხა, რომ ბარონ კიულმანი პირობებზე არაფერს ატყობინება, ხოლოდ ფლოტის სევასტოპოლში დაბრუნებაზეა დეპეშაში ნათქვამი. მე უპასუხე, რომ ჩვენსა და თქვენს შორის იმაშია, რომ ჩვენი ფორმულით ფლოტის დაბრუნება სევასტოპოლში შესაძლებელია საერთო შეთანხმების საფუძველზე, ყველა ფრონტზე.— აქ შედის ოსმალეთის ფრონტიც,—ხოლო სევასტოპოლი არ უნდა აიღონ გერმანელებმა ან მათ მოკავშირეებმა; თქვენს ფორმულაში ნათქვამია მხოლოდ გერმანულ-უკრაინულ ჯარის წინსვლის შეჩერებაზე. მე განუცხადე, რომ საკითხი იმის შესახებ, ფლოტის დაბრუნება ჩვენ უპირველ პირობად მიგვაჩნია თუ არა, და სევასტოპოლის დაბრუნების შესახებ კვლავ იქნება დასმული ჩვენი მთავრობის წინაშე; მაგრამ ყოველშემთხვევაში ჩვენ დაჟინებით უნდა მოვითხოვოთ დაუყოვნებლივ შეაჩერონ ყველა ფრონტზე—ფინლანდიის, უკრაინის, ოსმალეთის—წინ-სვლა და ბატაისკი ჩვენ დაგვიტოვონ. აგრედვე დაჟინებით უნდა მოვითხოვოთ გარანტიები, რომ ომის შემდეგ ფლოტი დაგვიბრუნდება და თუ რუსეთის მთავრობა ხელს აიღებს სევასტოპოლის დაცლის მოთხოვნაზე, ის უთუოდ მოითხოვს გარანტიებს იმისას, რომ გერმანია თვითონ არ ისარგებლებს ჩვენი გემებით. გრ. მირბახი დაგვპირდა რომ ის გამოირკვევს ბარონ კიულმანის დეპეშის გაუგებრობას.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ჩიჩერინი.**

რეიტერის საინფორმაციო სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება: ის გარემოება, რომ მტერს შეუძლია თავისი გამარჯვება, ყოველ დღე რომ აღწევს, შეინარჩუნოს იმის წყალობით, რომ მის ფრონტს ყოველ დღე ახალ ახალი ძალები ემატება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარშემო

(დეპეშები)

ქუთაისი. ივნისის 2. ქალაქის საბჭოს სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს:

„ქუთაისის ქალაქის საბჭომ მოისმინა აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა. საბჭო მიესალმება მას და ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამს გარეშე და შინაურ მტერთან ბრძოლაში.

ზესტაფონი. ივნისის 2. შორაპნის რაიონის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საერთო კრება მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. კრებამ სურვილი გამოსთქვა მთელი თავისი ძალღონე მსხვერპლად მიუტანოს ნორმ. რესპუბლიკას და ამით უზრუნველყოს ქართველი დემოკრატიის უფლებანი. ეს რევოლიუციის უკანასკნელი პოზიციაა და ამიტომ პრესა მოუწოდებს მთელ პარტიას, მთელ დემოკრატიას მედგრად დაიცვას თავისი უკანასკნელი სიმაგრე.

სურამი. ივნისის 3. სურამის ქალაქის თვითმართველობამ თავის მხრივ

სხდომაზე მოისმინა მოხსენება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოცხადების შესახებ და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„საბჭო აღფრთოვანებით მიესალმება დიად აქტს დამოუკიდებელ საქართველოს გამოცხადებისას და ჰპირდება, რომ ყოველივე ძალღონით დაეხმარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას."

ახალი ამბავი

→ იძულებითი სესხი. საგანგებო საფინანსო კომისიამ, რომელიც შესდგება მთავრობის დაწესებულებათა, ქალაქის საბჭოსი და სარევოლიუციო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, დაადგინა შეკრიბოს ქუთაისის გუბერნიაში იძულებითი სესხის სახით 10 მილიონი მანეთი. სესხი განაწილებულია ასე: ქალაქ ქუთაისში შეიკრიბება 4.000.000 მან., ფოთში 700.000 მან., სენაკში 300.000 მ., ზუგდიდში 200.000 მ., სოხუმში 1.000.000 მან., საძტრედიაში 325.000 მან., ხონში 400.000 მ., ზესთაფონში 325.000 მ., ჭიათურაში 600.000 მ., საჩხერეში 100.000 მ., ოჩეჩირეში 50.000 მ., ონში 60.000 მ., ცაგერში 40.000 მ., გუბერნიის ყველა სოფელში 2.000.000 მან., დაადგინეს წინადადებით მიმართონ საგუბერნიო კომისარს დაუყონებლივ განახორციელოს საფინანსო კომისიის ეს დადგენილება.

→ არეულობა ლენინუმში. ლენინუმის მაზრიდან იტყობინებიან, რომ იქ კვლავ დაიწყო არეულობა. მაზრაში სურსათის დიდი ნაკლებობაა.

→ ეროვნული დროშა რიონის ხადგურზე. ქუთაისიდან იტყობინებიან: საახალო მინისტრის დეპეშა მოვიდა, რომელშიც ის წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ აღმართონ რიონის სადგურზე ეროვნული დროშა.

→ თავდაცვის კომისია. ქუთაისში შესდგა ინტერპარტიული კომისია თავდაცვისათვის. თავმჯდომარედ არჩეულია ფაღავა, მის ამხანაგად გაფრინდაშვილი, მდივნად დადიანი. განხილულია, გუბერნიის ზოგიერთ პუნქტში თავდაცვის კომისიები შეადგინონ, რომელიც ხელს შეუწყობს მობილიზაციას, მოწოდებებს გამოუშვებს, მიტინგებს მოაწყობს და სხვ.

→ ზავის გარშემო. გუშინ დილით სასწრაფო მატარებლით ჩამოვიდა ბათომიდან საბშვიდობო დელეგაციის წევრი გრ. რცხილაძე, ის მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ეროვნულ საბჭოში საზავო მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ.

→ ბანკი ბათომში. ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებით, ამ მოკლე ხანში ბათომში გაიხსნება ამიერკავკასიის ბანკის განყოფილება.

→ ს.-ფედ. ფრაქციამ აირჩია თავისი პრეზიდიუმი — თავმჯდომარედ გრ. რცხილაძე, მის ამხანაგად ს. ფირცხალავა და მდივნად აკ. პაპავა.

→ ქართველთა სამხედრო კავშირის ჩექმის სახელოსნოში საჭირო არიან ხელოსნები, ბეჯითი მუშა აიღებს დღეში 30 მანეთს. მიიღება სამხედრო პირებიც თანასწორ უფლებით თავისუფალ მუშებთან. იკითხეთ ქსენიას და ელისაბედის ქუჩის კუთხეში, დილის 8 ს.—3 საათამდე.

→ კ. ფოცხვერაშვილს ჰიმნების კონცერტი განმეორდება შეფსებული პროგრამით შაბათს ამა თვის 8-ს სახალხო სახლში. ეს დღე საგანგებოდ დაეთმო ფოცხვერაშვილს მუშათა და ჯ. კ. საბჭოს მიერ.

→ ექიმი პანომანდენოვი, რომელიც გუშინდელ ჩვენს გაზეთში ყალბი ფულების მკეთებელთა რიცხვშია მოყვანილი, როგორც დაპატიმრებული, ამ ჟამად განთავისუფლებულია, ის როგორც გამოირკვა მონაწილეობას არ იღებდა, ხოლო მას კავშირი ჰქონდა ბოროტმოქმედებთან, რომ ერთი მათგანი პანომანდენოვთან ექიმობდა და ერთ დღეს მასთან დარჩა ყუთი, რომელშიაც რადაც საეჭვო ნივთები აღმოჩნდა. ექიმი პონამანდენევი მხოლოდ ამის გამო იქმნა დაპატიმრებული.

→ სახალხო თეატრი. დღეს, საღამოს, სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება „ნამუსისათვის". ადგილების ფასი სახალხოა.

→ ბრძოლა კარაკლისთან. სანაინდან ჩამოსული 10 სომეხი, კარაკლისთან ბრძოლის ამბავს მოგვითხრობს: „ოსმალოები სცდილობდნენ გზა მოეჭრათ ჩვენთვის ტფილის-ერევნისკენ, კარაკლისის მცხოვრებლებმა შეადგინეს შეიარაღებული რაზმები, რომლებიც არჩუტისკენ წავიდნენ იმ მიზნით, რომ თვითონ ოსმალოებისათვის ეოეჭრათ გზა. ჯარი დიდი ხალისით მიდიოდა და სომხურ ეროვნულ ჰიმნს მღეროდა. 4 დღე ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა, ოსმალოებს თან და თან ახალი ძალები ემატებოდა. სომხებს არ დაუტოვებიათ თავიანთი პოზიციები, შემდეგ კი როდესაც ტყვია წამალი გამოელიათ, იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. ოსმალოები შევიდნენ სომხურ სოფლებში და კარაკლისი დაიპირეს. ოსმალეთის ყველა ცნობა იმის შესახებ, რომ სომხებმა დაჭარგეს 1500 კაცი და 1000 კი ტყვედ წაიყვანესო, არ არის მართალი. ოსმალოების მიერ დაპყრობილ ადგილების სომეხი მცხოვრებლები ზოგი სანაინში წავიდა და ზოგი ლორაში.

→ ეროვნული დროშა. რკ. გზის უფროსმა კანდელაკმა გზათა მინისტრს შემდეგი ტელეფონოგრამით მიმართა: იმის გამო, რომ აუცილებლად საჭიროა ყველა სადგურზე ქართული ეროვნული დროშა იყოს და რადგანაც შეუძლებელია მატერიის შოვნა, გთხოვთ საჩქაროდ გამოგზავნოთ 500 არშინი თეთრი, შავი და წითელი მატერია.

→ ქუთაისიდან სად. კომენდანტმა შტ.-კაპ. პაიკაძემ შემდეგი დეპეშა გამოგზავნა: „არა ერთხელ გაუწყეთ ქუთაისის სადგურის მილიციონერების მოქმედების შესახებ. კიდევ გაუწყებთ, რომ მაისის 30-ს ჩემთან მოვიდნენ რაჭის მაზრის მცხოვრებლები, რომლებმაც მაცნობეს, რომ მილიციონერებმა მათ 200 მან. ქრთამი გამოართვეს ტფილისში შაქრის წამოღებაში. ამის შესახებ აქამდის ხმები დადიოდა და ვერავის ვაცნობე ამაზე, რადგანაც საბუთი არ მქონდა, ეხლა კი გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები.

→ ისიდორე ვარაზიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ეროვნულ საბჭოს წევრი სოც.-რევოლიუციონერთა პარტიიდან ი. ვარაზიშვილი, არის არა ისიდორე ვარაზიშვილი, არამედ მისი ძმა, ივანე ვარაზიშვილი.

→ მსახიობ ვიქ. გამყრელიძის იუბილე. კვირას, ივნისის 16-ს სახალხო თეატრში მსახიობ ვიქ. გამყრელიძის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად ქართველ მსახიობთა კავშირი ჰმართავს სადღესასწაულო წარმოდგენას.

→ ვაჭარ-მრეწველთა კრება. კვირას 2 ივნისს ქართულ კლუბის დარბაზში შესდგა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კრება, კრება გახსნა ამიერკავკასიის ბანკის თავმჯდომარემ ი. ლორთქიფანიძემ. დღის წესრიგი: ვაჭრობა-მრეწველობის კავშირის ორგანიზაცია, ამოირჩიეს კავშირის გამგეობაში ალ. გ. ჯაბადარი (თავმჯდომარე) წევრებად დ. კალანდაძე, ი. გველესიანი, საბჭოს წევრებად ნ. წვეოავა, ალ. ლორთქიფანიძე ვ. ბერულაშვილი, რ. დათეშიძე, ივ. კვეზერელი-კოპაძე, ალ. ზაქაიძე, ვ. ზურაბიშვილი, სპ. ბენდუქიძე, ად. ბერულაშვილი.

→ კავკასიის ოლქის რკ. გზის უფროსმა გზათა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა სამხედრო რკინის გზის სადგ. ლარს და მლეთის მოსამსახურეებს 1 მაისიდან 4,600 მ. მისცენ თვიურად წინაღმდეგ შემთხვევაში, მოსამსახურეები მუშაობის შეწყვეტას აპირებენ; მოსამსახურეები თავის მხრივ თხოულობენ, რომ მათ ან რუსული ან კავკავის ფული მისცენ, რადგანაც იქ სადაც ისინი არიან ამიერკავკასიის ბონეს გავლენა არა აქვთ.

→ დაიკარგა ბავშვი 10 წლისა, ჭრელ თვალება, ოკლე შავ-თმიანი ქალი, თეთრი „პიკის" ქუდით და თეთრი ბამბაზიის კაბით, პარასკევს 31 მაისს ნაშუადღევის 3 საათზე გავიდა სახლიდან, და აღარ დაბრუნებულა, დამშუხრებული მშობლები სთხოვენ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის ამ ბავშვის შესახებ აცნობოს შემდეგი მისამართით: ნაძალადევი ყუბანის ქუჩა. სახლი კურტიშვილისა, შაქრო პავლია შვილის ბინა.

საადგილ-მამულო რეფორმა

ქუთაისი, 31 მაისი. ზუგდიდისა და სამურზაყანოს რაიონებში მუშაობა მეტად გაძნელებულია, რადგან იქ ანარქია მძვინვარებს. მხოლოდ ერთი კომისია მუშაობს. 30 მაისს დაასრულეს თავად მინგრელსკის მამულის ჩაბარება. სოხუმის ოლქში სამზადისს შეუდგნენ. მალე 4 კომისია დაიწყებს მუშაობას.

თელავი, 31 მაისი. თიანეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებში მუშაობა საადგილ-მამულო რეფორმის გასატარებლად ბრწინვალედ სწარმოებს. თიანეთს მაზრის კომისიებში მომუშავენი ითხოვენ, რომ ისინი სამშობლოს დასაცავად გაუშვან.

ქართული სკოლა.

ჩვენთვის უკვე ცხადი უნდა იყოს, რომ დღევანდელი ქართული სკოლა ნამდვილს ცხოვრებას არ შეეფერება და ჩვენს რეალურ მოთხოვნილებებს იგი სრულიად ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ შეიძლება ვსთქვათ, რომ ჩვენ ჯერ საკუთარი, ქართული სკოლა სულაც არა გვაქვს, ხოლო მის აუცილებელ საჭიროებას კარგადა ვგრძნობთ და ხწვავედ განვიცდით კიდეც. დღემდის ჩვენ ხელთ არ იყო ძალა-უფლება და საშუალება ამ საქმის სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად, თუმცა ყოველგვარ ღონეს ვხმარობდით ყოველი ძარჯვე შემთხვევა და მოხერხებული მომენტი ამის სასარგებლოდ გამოგვეყენებინა *).

მაშ, საჭიროა ქართული, ეროვნული სკოლის შექმნა და ამის განსახორციელებლად საუკეთესო მომენტი ახლოლად დღესა გვაქვს.

მაგრამ, პირველყოვლისა, ჯერ საჭიროა გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ ის ძირითადი პრინციპები, რომელიც თანამედროვე მეცნიერებისაგან უტყუარ საფუძვლად არის ცნობილი საღი და გონიერი აღზრდა-განათლებისათვის, ეს უკანასკნელი კი საშუალებაა იმ დიდი მიზნისათვის, რომელიც ეძლეოდა ადამიანის დანიშნულებას მსოფლიო ცხოვრების მსვლელობაში. ცხოვრების დასაბამიდან დღემდე კულტურული კაცობრიობის ისტორიამ ორი უმთავრესი მომენტი იცის მხოლოდ ადამიანის დანიშნულებისა და მისი როლის შესახებ. ბრძენი პლატონის (420—348 წ. ქრ. წ.) აზრით ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრების მიზანია უმაღლესი სიკეთის მიღწევა, მისი ცოდნა, მისი შეგნება. აქედან, მისი (პლატონის) აღზრდის მიზანსაც მხოლოდ ამ ცოდნის განვითარება შეადგენდა. ცხადია, სიკეთის ცოდნა და მისი შეგნება არ იყო მიზანი თავის თავად. ივი საშუალებაა ამ სიკეთის გასავრცელებლად სხვა, მის გარეშე მყოფ, ადამიანთა სასარგებლოდ. ასეთი მოძღვრება მიღებული და განმტკიცებული იყო უძველესი დროიდან მეთვრამეტე საუკუნემდე. ამ დროის განმავლობაში ადამიანის პიროვნებისათვის ზრუნვა, იმავე სიკეთის შეგნების მიხედვით, ერთადერთს მიზანს შეადგენდა მთელს აღზრდა-განათლების საქმეში. ეს იყო ხანა კაცთმოყვარეობისა, ეს იყო ეპოქა ჰუმანიზმისა.

ცხადია, ცოდნა-შეგნებისათვის საჭირო იყო შესაფერი მასალა, საამისო საშუალება, რაც გონებას, განყენებულ აზროვნებას ანვითარებს. და ამიტომ სწავლა-აღზრდაც უმთავრესად მხოლოდ გონების აღზრდა-განვითარებად გადაიქცა. ამნაირად მთელ პედაგოგიკას საფუძვლად ინტელექტის განვითარება, ინტელექტუალიზმი დაედვა.

განვლო დრომ და ადამიანის შესახებ ეს ძირითადი შეხედულებაც შეიცვალა. ძველი პრინციპის ადგილი ამ შემოხვევაში ესლა ახალმა დაიკავა, რომელიც შემდეგ ფორმულას ღებულობს: ადამიანი თავის მოქმედებაში თვით არის მიზანი და არა საშუალებაო. და, რასაკვირველია, ამის მიხედვით თვით აღზრდა-განათლების წესიც უნდა შეცვლილიყო და უმთავრეს საშუალებადაც სხვა იარაღი უნდა გამოვნახოთ. გონების მარტო განყენებული აზროვნებითი საზრდოება აღარ კმაროდა, ასეთი მასალა ძლიერ ცალმხრივად იქნა ცნობილი და შეუდგნენ მისს შევსებას, გართულებას და გამრავალფეროვანებას. ამ დროს პარალელურად ვითარდება მეცნიერების სამი დარგი: ფსიქოლოგია, ბუნებისმეტყველება და სოციოლოგია. ფსიქოლოგიის საშუალებით ჰქმნიან, უმთავრესად აღზრდის მეთოდს; ბუნებისმეტყველება ეხება სასწავლო საგნებს, სოციოლოგია კი—საგანმანათლებლო მასალას და ორგანიზაციას, საქმის მოწყობას.

ცხადია, აღზრდის ობიექტი, აღზრდის საგანი ისევ ადამიანია, მაგრამ აღზრდის დანიშნულება კაცობრიობის შინაგანი სულიერი ცხოვრების განახლებაა. ეს აის უმთავრესი შინაარსი მეთვრამეტე საუკუნიდან დამყარებული ნეო-ჰუმანიზმისა.

ამ ორივე ადამიანურ-ფიზიკური-ორგანულისა და ფსიქიურების შესწავლა-ფუძეზე ინტელექტის ნაადგილევ შეყვანილება. ადამიანის გრძნობა, მეცნიერება და ნიბისყოფა მეცნიერთა თანაბარ ყურადღებას იპყრობს და წამოიჭრება პრინციპი ადამიანის ყოველგვარ ბუნებრივ თვისებათა ჰარმონიულად განვითარების შესახებ. ნებისყოფისა და ემოციონალურ-ინტელექტუალური მხარეები ერთი-მეორეს არ უნდა უსწრობდნენ და ჰქმნიდნენ უნაკლო, მთლიანს არსებას სულიერ-ხორციელად. კეთილად აღზრდილ გრძნობათა საშუალებით ამაღლებული ესთეტიური გემოვნება პიროვნებისა, ნათელი, ბრწყინვალე გონებით წარმოდგენილი ეშმარიტება მტკიცე ნების-ყოფასთან განუყრელად დაკავშირებული მუდამ ასაზრდოებს ადამიანს უშრეტის ძალით, რომ მან სასიქადულოდ შეასრულოს ამ ქვეყნად თავისი მაღალი დანიშნულება: დასტკბეს ცხოვრების სიმშვენიერით და ხელი შეუწყოს სხვის ბედნიერებასო.

ასეთია ჰარმონიული განვითარების პრინციპთა შედეგები.

დღევანდელმა სკოლამ ამ პრინციპის განმახორციელებელი საშუალებაც შესცვალა, მან ფსიქოლოგიური მეთოდში პირველი ადგილი ნებისყოფის აღზრდა-განვითარებას დაუთმო, რადგან ამ უკანასკნელის მიზნად მხოლოდ ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის შექმნა დაისახა. ნებისყოფა არის აქტიობა ანუ სამოქმედოთ მიმართული შეგნებაო. იგი სულიერი ცხოვრების საფუძვლად, მის ცენტრად არის აღიარებული. და რადგან მტკიცე ნების გასაწვრთნათ და გამოსამუშავებლად რეალური, თვალსაჩინო საგნებია ცნობილი, ვიდრე განყენებული იდეები, ამიტომ სასწავლო საგანთა შორისაც მათ დაუთმეს პირველი ადგილი. აქედან იწყება რეალურ სასწავლებელთა რიცხვის თანდათანობით ზრდა და საერთოდ რეალური ცოდნის პროგრესიული გავითარება.

რეალურ მხარეთა შორის ორი ძირითადი ნაკადი ასეთ: ბიოლოგიური და სოციოლოგიური. ასაღზრდელი პიროვნება არის ბიოლოგიური ერთეული და ამავე დროს იმ წრის და საზოგადოების წევრი, სადაც იგი ცხოვრობს და რომელთანაც აქვს მტკიცე ურთიერთობა. აძ გაიმეორებს ხელი შეუწყო ფსიქოლოგიაში გამეფებულმა ახალმა ვოლიუნტარისტიულმა მიმართულებამ, რომელიც პირველად იმავე განყენებულს თეორიულს ცხოვრებაზე აღმოცენდა. ამ ვოლიუნტარისტიული თეორიის მიხედვით აღზრდა განათლებას საფუძვლად უნდა დაედვას ჭვრეტა და ქმნა, დაკვირვებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*) იხ. სხვათა შორის, ჩვენი წერილები: „ქართული სკოლის რეორგანიზაციის აუცილებლობა", „სახ. ფ." №317, 1915 წ. და სხ.

ეროვნება და ეროვნული თავისუფლება

(გაგრძელება *)

IV

ადამიანი საზრდოს ფიზიკურს და გონებრივ-ზნეობრივს მიიღებს ბუნებისა და საზოგადოებისაგან. მისი სხეული და სულიერი აგებულება ჩამოსხმულია სამშობლოს და ერის თვისებებზე. მისი ნორმალური არსებობა და განვითარება მოითხოვს, რომ იგი განუკვეთელი და განუშორებელი იყოს მმობელი ქვეყნისა და ერისაგან, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ერი თავისუფალია და ადამიანი თავისუფლად ვითარდება ეროვნულ საზოგადოებაში.

ასეთია ბუნებრივი დასკვნა ცხოვრების არსებობის განხილვისა. ეს გარდაუვალია ყოველი ერისთვის და კაცობრიობისა, რასაკვირველია ქართველი ერისთვისაც, თუ მის წევრებს სურთ არა თუ კულტურული განვითარება, არამედ უბრალო ფიზიკური არსებობა. საქართველოს თავისუფლებისთვის უნდა ვილაპარაკოთ, როგორც სხვა ყველა კუთხისთვის. იგი აუცილებელია, იგი უნდა იყოს. ამას ცალკე ძიება და გამოკვლევა არ ესაჭიროება.

საინტერესოა მხოლოდ გათვალისწინება იმ პრაქტიკულ მოსაზრებათა, რომელნიც თან სდევს ჩვენი ერის თავისუფლების განამდვილებას. თავისუფლება ხორციელდება განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, რომელნიც გვაჩვენებენ გზას პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის. მაგრამ ვიდრე ამ საგანს შეეხებოდეთ, თვალი გადავაგლოთ [illegible]ვად ქართველი ერის წარმოშობ[illegible]ტორიას.

[illegible] „სახ. საქმე" № 248

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ერის პირველადელი დროჯერ კიდევ სიბნელით არის მოცული. მხოლოდ ახლა აქცევენ ყურადღებას მკვლევარები იმ მეტად დიდის მსოფლიო მნიშვნელობის საკითხს, რომელსაც წარმოადგენს კავკასიელების, იაფეტიანების უძველესი კულტურა. მხოლოდ დღეს იწყებენ მეცნიერები იმ მრავალ ნაწილის შესწავლას, რომელიც ზუსტ უნდა მოჰფინოს მთელი კაცობრიობის პირველ დროების ენას და განათლებას. მხოლოდ დღეს არკვევენ მკრთალად არქეოლოგები და ლინგვისტები, რომ ქართველთა და მათ მონათესავე კავკასიელთა ენასა და კულტურაში უნდა ვეძიოთ ნაშთები იმ უძლიერესი შემოქმედებისა, რომელიც დაედვა საფუძვლად მთელი წ ნა აზიის და ევროპის კულტურას.

აქამდის არაა შესწავლილი ქართველთა და საზოგადოთ ყველა იაფეტიანთა (ქართველი ერი ერთი შტოა ამ მოდგმისა) მითოლოგია, გადმოცემანი, ადათები, ჩვეულებანი, რომ ამის შეშწეობით აღდგენილ იქნეს უძველესი დრო. არსებაა იმდენი მასალა ადამიანის გარდასულ ჟამთა შესასწავლად, რამდენიც მოიპოვება ჩვენში და ჩვენს მეზობლად, მაგრამ ყველაფერი ჯერ ხელუხლებელია.

ხოლო იმის მიხედვით, რაც დღემდის შეუსწავლიათ და გამოუძიებიათ მეცნიერებს, ქართველთა ნათესავს და კერძოდ ქართველი ერის შინაური წარსული შემდეგს სურათს წარმოგვიდგენს:

ქართველთა მოდგმას ან იაფეტიანთა რასას ოთხი თუ ხუთი ათასი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდის ეკავა მთელი ის ადგილი, რომელიც ეხლა მოთავსებულია სპარსეთის ყურესა და მარცხენა ილოს ზღვის შუა ერთის მხრივ [illegible] ბალი, რომელთაც უძლიერესი სახელ-

[illegible] ბალი, რომელიც [illegible] ბალ-ბალ-ბალ-

ბა და კონკრეტიული წარმოდგენა. ხოლო რადგან ყოველი პიროვნება ამავე დროს არის ნაყოფი გარემოცული ცხოვრების აუცილებელი პირობებისა, ამიტომ აღზრდა-განათლებაც ნამდვილ საზოგადოებრივ წრეში უნდა სწარმოებდეს ე. ი. აღზრდა უნდა იყოს მიმართული მოზარდისა და საზოგადოების გასაერთიანებლად, ურთიერთშორის თანხმობის, სოლიდარობის დასამყარებლად, მისწრაფებათა და შეგნების განსახორციელებლად საერთო კეთილდღეობისათვის.

ასეთი აზრისაა მოკლედ და საერთოდ სოციალური მიმართულება პედაგოგიკაში, რომელიც ეყრდნობა განსაკუთრებით ნეგბის აღზრდას და ჰგნის უმთავრესად ვოლიუნტარისტულ საფუძველს ყოველგვარი ცოდნა-განვითარებისათვის. ამავე სოციალურ ნიადაგზე აღმოცენდა ამ ბოლო დროს ევროპიდან წოდებული შრომის სკოლები გერმანიისა და ამერიკაში, მაგრამ მათ ნაც, უფრო ვიწრო სახელოსნოს სახე და ხასიათი მიიღეს, სკოლაზე გადაკარბებული უტილიტარისტული შეხედულების წყალობით.

ამნაირად, ჩვენ დავინახეთ ორი უმთავრესი საფუძველი—ინტელექტუალური და ვოლიუნტარისტული (ემოციონალურმა ჯერ ვერ დაიჭირა საერთოდ ასეთი ადგილი, იგი მხოლოდ განსაკუთრებულ პიროვნებათა, რჩეულთა ბაზაა, სხვა და სხვა მხატვრულ შემოქმედთა ცეცხლის აღმთები).

ცხადია, აღზრდა-განათლების საქმეში ჩვენთვის ერთიცა და მეორეც საჭიროა, მაგრამ პრაქტიკულ ცოდნათა გასავრცელებლად მეორე, ვოლიუნტარისტული თვალსაზრისით სარგებლობა პირდაპირ აუცილებელია. ეამისოდ ჩვენ ვერც ერთი რეალური ტიპის სკოლას ვერ შევქმნით და სწორედ ამ პრინციპის თანახმად უნდა მოვახდინოთ ჩვენი სკოლის რეორგანიზაცია, მისი ძირითადი გარდაქმნა.

მართალია, დღეს ჩვენ ყველანი, და უმთავრესად მასწავლებელნი, ჰუმანისტური სკოლის მიმდევრები ვართ, რადგან მხოლოდ ასეთს ნიადაგზე ვართ აღზრდილნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი საკუთარი შეგნება და სამშობლოს საერთო მდგომარეობა ჭეშ გვავალებდეს, რომ თავგამოდებით დავიცვათ ახალი სკოლის პრინციპები და უკლებლივ გავატაროთ იგი ცხოვრებაში სხვა და სხვა სპეციალური სკოლების გამრავლებით და საერთო პროფესიონალური ცოდნის ფართო გავრცელებით.

დღეს, ვფიქრობ, ქართველი ერის ხელმძღვანელი წრეები და მოწინავე საზოგადოება უკვე დარწმუნებულია, რომ ეხლანდელი ტიპისა ჩვენი დაბალი და საშუალო სასწავლებელი უვარგისი და სრულიად შეუფერებელია

ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორიისა, როგორც არის ქართველური, მრავალის მსოფლიო კულტურის ნაკეცს შეიცავს—მისი სულიერი არსება. მის სულში თითქოს დაცულია მთელი კაცობრიობის ცივილიზაციის მთავარი ეტაპები. აქაა აღმოსავლეთი და დასავლეთი, აზიის კულტურა გადასულია ევროპისას, იაფეტიანთა რასის განუცდია ღრმა გავლენა სემიელების და არიელების, აქ ჰპოულობს დასაწყისს ბაბილონის ცივილიზაცია, ასირიის კულტურა და ელინიზმი, აქაა შეხვედრილი უძველესი წარმართობა, ქრისტიანობა და მაჰმადიანობა. არც ერთი უდიდესი საკაცობრიო შემოქმედების ნაყოფი არაა უცხო ქართველთა მოდგმისათვის. ევროპის დღევანდელ ერების ისტორია არ აღემატება 2500—300 წელს, ხოლო სლავიანებს, კერძოდ რუსების ძლივს აღწევს 200—15000წელს. ქართველთა ნათესავის წარსული კი გადაჭიმულია 6 ათას ნახევრის—შვიდი ათასი წლის ფარგლებზე.

ყველაფრის ამის მოგონება იმიტომ საჭირო, რომ ნათლად გავითვალისწინოთ ქართული ეროვნების ბუნება ჩვენი პოლიტიკური საკითხის გადაჭრის დროს. ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს სიდიადე და სიმძიმე ქართველი ერის ბედისა. ეს ვიწრო საკითხი არაა, ეს შეეხება მთელს იმ კულტურას, რომელიც ჩვენს ერს დაუმკვიდრებია ათას წელთა მოღვაწეობისაგან, ეს შეგვეხება არა მარტო ჩვენ დღევანდელებს, ამ საქმისათვის ბრძოლავენ ის შორის შორი თაობანი, რომელთა ძვლების მტვერიც კი ასად მოიპოვება, მაგრამ რომელთა ნამოღვაწარი მთელი ქვეყნიერებაზეა მოფენილი. ქართველთა მოდგმას, იაფეტიანთა რასის კვალი რომ ამოვშალოთ მსოფლიო ისტორიაში, ვინ იცის

ჩვენი ცხოვრებისთვის დი ამიტომ ეხლავე უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომა მის გადასაკეთებლად და სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად.

ქართული სკოლის გარდაქმნის შესახებ ჩვენ ადრე ვსწერდით *): „ზოგადი ხასიათის აზრის გამოთქმა არა კმარა ამის განსახორციელებლად, მით უმეტეს როცა ამნაირად და ამ ფარგლებში დასმული საკითხის პრაქტიკულად გადაჭრა მარტო ჩვენს წრესა და სურვილებისაგან არ არის დამოკიდებული. საკითხი უფრო ვიწრო ჩარჩოებში უნდა ჩავსვათ და მეტი პრაქტიკული აზრებით განვსაზღვროთ იგი, რომ მიზანიც ადვილად განვახორციელოდ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეუდგეთ მაინც მასზედ ფიქრსა და ზრუნვასო.“ ადრე თუ ხელ-ფეხი შებოჭილი გვქონდა ყოველგვარი ქართული საქმისა და ცალკე ქართული სკოლისათვის, დღეს მაინცა გვაქვს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება და ჩვენი თავიც ჩვენს ხელთ არის. მაშ ნუღარ დავიგვიანებთ. თუ როგორი უნდა იყოს მთლიანი ეროვნული სკოლა, ამაზე შემდეგ.

გ. ჭუმბურიძე.

მოწოდება

ჩემო ძმებო, მეომრებო!

ოსმალოების აღვირ ახსნილობას არა აქვს საზღვარი. ბათომთან იაფად და შემთხვევითი გამარჯვებით თავბრუდასხმულნი ახალგაზრდა საქართველოს ყოვლად მიუღებელ მოთხოვნილებებს უყენებენ.

თავიანთი მურტალი ხელებით უკვე ეპოტინებიან ჩვენს არსებობას. არ ჯერდებიან ბათომს, მათ აღარ ახსოვთ ჩოლოხი, სადაც გამოფხიზლებულმა ქართველურმა გმირობამ მწარე დამარცხება მოუტანა.

ყველამ კარგად იცით თუ რას მოგვიტანს ოსმალოსაგან დამონება: სიმშილს, ჩვენი სახლკარის გადაწვას, ცოლშვილის აწიოკებას, გაუპატიურებას და სისხლითა და ტანჯვით მოპოებულ თავისუფლების დაკარგვას. ნუ თუ ეხლა, როდესაც ქართველი ეროი ფეხზეა დაუდგარი, როცა ყოველი კუთხე საქართველოსი შეიარაღებულია და მიისწრაფვის სამშობლოს დასაცავად რომ მტერს უსიკვდილოდ არ დაუთმოს არც ერთი მტკაველი ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით ძორწყული სამშობლო მიწისა, ნუ თუ ეხლა ჩვენ ლაჩრულად და უსიტყვოთ უნდა დავემორჩილოთ ოსმალოთა უსაზღვრო ითხოვნილებებს და ჩვეიდე ხელით დავმაოხოთ ჩვენი სამშობლო და თავისუფლება? ჩვენ კიდევ

*) იხ. 1915 წლ. „სახ. ფ.“ № 307.

რა შეგვ ჩეიოდა ხელთ! ამ რასის საუკეთესო წარმომადგენელია დღეს ქართველი ეროი და თუ ყოველი ეროის თავისუფლება გარდაუვალი, სტიქიური, კოსმიური აუცილებლობაა, კიდევ უფრო გასაკუთრებულად საზრუნავი უნდა იყოს ჩვენთვის ქართველი ერის თავისუფლების დამყარება, ქართული ეროვნეიის თვითარსებობა. თუ საძიძოა და საძელი: ყოველი ერის მოტეხა და მონობა, კიდევ უფრო არავის უნდა გაუადვილდეს ასეთი ერის დაჩაგვრა და გადაგვარება, როგორიც არის ქართველი ერი უოიცხვ ბრძოლათა შიგან განმტკიცებული და ათას ცეცხლში გამორძალული.

თავისუფალი ქართველი ერი, აღდგენილი საქართველო—სხვა ფიქრი შეუძლებელია, სხვა ლოზუნგი შეუწყნარებელია ქართული პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ე ჩვენი ფიზიკური არსებობის საკითხია, არა მხოლოდ გონებრივ-ზნეობრივ განვითარებისა. ეს ჩვენი ბოკალეობაა იმ გარდასრული თავობათა წინაშე, რომელთაც თავი დასდვეს მთელი კაცობრიობის კულტურისათვის. ნუ შეგვრცხვება ამ მოვალეობას ხსენებისა—იგი უკეთილშობილესი ღირსებაა. არავითარი შერერება, არავითარი პირობა, არავითარი ლოდინი—მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა უთხრათ: მშობელ ერს: თავისუფლება, თავისუფლება! ეს უნდა განხორციელდეს დაუყონებლივ, უყოყმანოთ, გაბედულად.

უნდა განხორციელდეს—ამის შესახებ კამათი შეუძლიათ მარტო მონობაში დაბადებულებს და მონობაშივე მკვდარ ცოცხლებს—უნდა განხორციელდეს, მაგრამ რა სახით, რა ფორმაში უნდა ჩამოყალიბდეს ქართველი ერის თავისუფლება?

ხამ. ფირცხალავა.

(შემდეგი იქნება).

მოვაგონებთ მტერს ძველ დროს, როდესაც იგი ვერ უძლებდა ჩვენ გმირობას და მუდამ დამარცხებული და შერცხვენილი უკანვე ბრუნდებოდა ჩვენი სამშობლოდან.

მაშ მედგრად! ჩვენი დევიზი უნდა იყოს დღეიდან: ან გამარჯვება და დამოუკიდებლობის და თავისუფლების შენარჩუნება ან და გმირული სიკვდილი!.. თუ ოსმალოებმა დაგვამარცხეს, სიკვდილი და განადგურება მაინც არ აგვცდება. მაშ თუ დაგვეჭირდა, ვიომოთ გმირულად!..

პოლკოვნიკი ყარალაშვილი.

საჭირო ნაგიჯები

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივხცეთ მომავალი ხალხს“.

საზოგადოების კულტურული დაწინაურება იწვევს თავის მდგომარეობის და ღირსების შეგნებას, მუყაითობას და ბეჯით საქმიანობას, ახალ მოთხოვნილების და საჭიროების შეთვისებას, ყოველნაირი კულტურული საღსრის და გაუმჯობესებული სამუშაო იარაღის შემოღებას... სწავლა-განათლების და კულტურის მდგომარეობასთან კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიურ ძალთა განწყობილება, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება: პირველის განვითარება მეორის აყვავებას იწვევს, და ორივე ერთად კი ერის კეთილდღეობისა და წარმატების უძლიერესს ფაქტორებად უნდა ჩაითვალონ.

ამ რიგად ერის დაწინაურების საკითხში ეკონომირი მხარე დიდ როლს თამაშობს და დიდი ყურადღების ღირსიც არის.

ხალხის არსებობის და მისი უზრუნველყოფის ერთად ერთ მტკიცე გარანტიას ეკონომიური ცხოვრების სიმტკიცე შეადგენს და თუ ეკონომიური ცხოვრება მტკიცე ნიადაგზეა აშენებული, მაშინ მისი დამხობა არც ისე ადვილია. ამის ურყეველი საბუთი თანამედროვე მსოფლიო ომში გერმანიამ მოგვცა.

მხოლოდ თუ ქვეყანა ეკონომიურად უძლურია, მისი საფუძველი საგრძნობლად შერყეული, მაშინ მისი საქმე დაღუპულია. ასეთი იყო, მაგალითად, წარსულში ესპანია, დღეს კი სპარსეთი, თუნდაც რუსეთი...

საქართველოს თუ შევეხებით, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ მისი თანამედროვე ეკონომიკის სიბეჩავე, სიუძლურე..

ღღესავით ნათელია, რომ ჩვენში მრეწველობა, მეურნეობა, ვაჭრობა და აღებ მიცემობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია,

ადამიანმა რომ შეგვეკითხოს, მრეწველობის და მეურნეობის თუ რომელი დარგია ჩვენში საკმაოდ და შესაფერისად განვითარებული, სასირცხოთ უნდა უპასუხოთ: არავითარი!

და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ისეთი ადგილია, სადაც განგებას თვისი უხვი კალთა დაუბერტყია. მას ბუნების სიმშვენიერით, სიმდიდრით და ნაყოფიერებით, ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მთელი დედამიწის ზურგზე. ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდებით ათასგვარ მადნეულობას, სამკურნალო-სასმელ თუ საბანაო წყლებს, თვალუწვდენელ მდიდარ ტყეებს, საბოთხისებურ გრილ და სუფთა ჰაერით დაჯილდოვებულ საგარაკო ადგილებს.

მაგრამ ვაფასებთ და უვლით კი ყოველივე ამას?

ჩვენი მამა-პაპათა ოფლით მორწყული და სისხლით გაჟღენთილი ადგილ-მამულები ხელიდან გვეცლება. ჩვენ არ შეგვრჩენია უნარი მათი დაცვისა, მოვლისა, დამუშავებისა. პირიქით, თვითონ ვეძებთ მოკეთე „მტრებს“, რომელთაც საკუთარ სიმდიდრეს, ავლა-დიდებას ხელში უყრით. და ამ ნაირად ჩვენი სიმდიდრე ჩვენივე სიდატაკის და ეკონომიური მონობის წყაროდ ხდება...

ჩვენს ქვეყანაში თუ სადმე მრეწველობის სუნი გეცათ, იქ აუცილებლად სათავეში და ბატონ-პატრონებად უცხო პირნი უნდა წარმოიდგინოთ, მასპინძლები კი გაძვალტყავებულ მუშებად და ყმებად...

დღესავით ნათელია, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით უხვად დაჯილდოვებული ქვეყანა რომ ბელგიელების ან ფინების ხელში ყოფილიყო, ის დაქსელილი იქნებოდა რკინის გზებით, ელექტრონით, ტელეფონით: ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალწარმტაც და მასთან შემოსავლიან ბაღებს, საუცხოოდ მოწყობილ ამბინოებს დაინახავ-

---

*) Нумизм. факты груз. царства. ჩვენი ქართული ფული. იელრია 1885 წლ. №-ები 5 (გვ. 89—103), 7 (გვ. 99—119).

„17“. თვით სამაჰმადიანოში ეს არაბული ციფრებიანი წარწერა გვხვდება ყარა-ასლანს (1181—1186) ოქროზე. მაგრამ საკუთრივ ბაგრატ „არაბული ციფრები“ ბაგრატ ტაძრის წარწერაში (1003) ისე 963 წელს გადაწერილ დავითნში. (ციფრებია: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9).

ცნობილია კიდევ ფულები

1. დავით კურაპალატისა ბაგრატ მე-3-ის გამოსახულებით.
2 ფული გიორგი 1-ისა
1 „ გიორგი 2-ისა
2 „ დავით აღმაშენებელისა
4 „ დიმიტრი 1-ისა
8 „ გიორგი 3-ისა
26 „ თამარ მეფისა
14 „ გიორგი ლაშასი
16 „ რუსუდანისა
8 „ დავით 5-ისა
3 „ დიმიტრი თავდადებულისა
„ გიორგი ბრწყინვალის „გიორგაული“
4 „ ბაქარისა (1716—1719)
4 „ თეიმურაზისა
14 „ ერეკლესი
4 „ გიორგი 12-ისა.

არაბი მწერალი ყაზვინი (13 ს.) ასწერს რა თავის გეოგრაფიაში ტფილისს, ამბობს, ამ ქალაქში მოიპოვებაო დინარი ოქროს ფული პერპერა; ეს კარგი ფელიაო, წონით მისხალი, ოქრო უმაღლეს ხარისხისა, იქედებაო აფხაზთა (ქართველთა) მეფეების მიერ.

ამ პერპერას იხსენებს შოთაც „პერპარასა დიფანტულსა ზედან სცვეთდნენ ვითა ხიდსა“.

ათონის ლაკრის აღაპებში იგი ჩნდება თითქმის მე-11 საუკუნითგანვე და ეწოდება

პერპერა 256, 258, 259, 221 გვ. და სხ.
პერპერატა 248
პერპერატი 253 251...
პერპერი (ქილილ 29)

პელპელი (კორიდეთ სახ. წარწ-ებში)

თამარ მეფემ ათონის მონასტერს გაუგზავნა რვა პერპერა (ათონ. კოდ. 259).

რა ღირდა პერპერა, ძნელია გადაჭრით თქმა. ბაგრამ რახან ვიცით, რომ მეცამეტე საუკ-ში, ყაზვინის ცნობით, პერპერა იწონდა მისხალს, უნდა დავასკვნათ, რომ პერპერა ყოფილა ღირებულობით დინარის სწორი ვინაიდგან ამავე საუკუნეში დინარიც მისხალი იყო წონით. ი. ჯავახიშვილის ცნობით (საქართ. ეკონ. ისტ., 95), 1157 წელს კონსტანტინეპოლში პერპერა ღირდა 6 სუ და 4 დრაჯა.

ჩუბინაშვილით პერპერა სპარსულია სხვების მტკიცებით ბერძნული ვიპერპვარიონ. ბგონია იგი იყოს წმიდა ქართული პრპენი, ბრპენი, ჭლპენი. წინად მისგანაც სპრიდხენ ფულს, ზაქარ. ნ-ე: ტალანტი ბოპენისაო.

ლინგლუას შერიფ-ედ-დინის ისტორიიდამ ცნობილია შემდეგი ფრიად საყურადღებო ცნობა. საქართველოს მეფე გიორგიმ (1395—1407), რომ გული მოეგო ტამერლანისთვის (ლანგთემურისთვის) და მონღოლები გაეხსნა ტფილისიდამ, ათასი ოქროს ფული გაუგზავნია ამ მპყრობელს ამის სახელის ზედ-აღსაშნავად. ამ ძველმა მოამაგემ ლანგთემური ისე, რომ დასტოვაო ტფილისი, მტკვაზე გადავიდა წავიდაო ბელაქნისკენ.

დანამდვილებით არა სჩანს, ამ ფულს თვით გიორგი მეფე სჭრიდა, თუ ის 1000 ოქროს ფული იყო თვით ლანგთემურისა მიერ ბედილი და მისთვის მიძღვნილი გიორგი მეფის საუნჯიდამ.

სპრიდნეს ფულს ქართულ-არაბულ წარწერით აგრედვე საქართველოზე გაბატონებული ატაბეგები: მახგუყაენი (1243 წ.), აბაგა-ყაენი (1280), არგუნი (1291), ასან ნაჰმადი (1295, 1302) ოლთაგ სულთანი 1314, აბუსაიდი 1317, 1335, სადი-ბეგ 1338, აგრედვე სპარსეთის ზოგი ყაენები, რომელთაგან ჩვენში გავრცელდა შაური, უზალთუნი, ებაზი, და კვლავ ხონთქრეი აჰმად (1703), მაჰმუდ (1735).

ისტორიკოსი ბაბუა ორბელიანი სწერს (ქ. ცხ. 417): „გამოეგზავნა შაჰ-სულთან იბრეიმს ხარაფცახი (ბარაფი) ქალაქში (ტფილისს ერეკლე 2-ისთვის). და დაჰკრეს სიქა (შტემპელი, ბეჭედი). ბრძანებისაებრ მისისა მოსჭრეს სამ-აბაზიანი (ე. ი. მაჩილი) და შაური, ფლური 30 შაურისა.“ მისივე ცნობით (გვ. 427), 1751 წელს ცხარს ჭყიდნენ ორშაურად, ძროხას 5 აბაზად, ტყვეს ორ მილანთუნად (2 მან.) ყაზახში ქართულ-კახელებს დარჩათ 200,000 ცხვარი.

1801 წლიდან ქართულ ფულს ტფილისში სჭრიდნენ რუსის ხელმწიფე

ობილია ამ დროის ვერცხლის აბაზიანი, ორაბაზიანი და სხ. ბედი მოსპეს 1882 წელს.

ვახტანგი თავის სამართლის წიგნის მე-15—16 მუხლებში იხსენიებს ფულებს, რომელნიც არიან: შაური, უზალთუნი, აბაზი, ასლანი, ფლური, გიორგაული, კირმანეული, დანგი, ყირათი, ასრე განმარტავს:

4 ხაშხაშის მარცვალი არის ფეტვის 1 მარცვლის წონა.

4 ფეტვის მარცვალი 1 ქერის მარცვლის წონაა.

4 ქერის მარც. 1 ცერცვის მარცვლის წონაა.

4 ცერც. მარცვალი 1 დანგია.

1-ს ცერცვის მარცვალს ყირათიც ჰქვიან.

6 დანგი ვინა 24 ყირათი 1 მისხალია.

1 მისხალი 2 ნახ. შაურის წონა არის.

4 შაურს აბაზი ჰქვიან.

5 აბაზი 1 მინალთუნია.

10 მინალთუნი 1 თუმანია.

თუმანი 16 მარჩილი და 9 აბაზია.

30 თუმანს ურუმნი 1 ქისას ეძახიან.

3 შაურს ფრანგნი რუბს ეძახიან.

2 შაურის წონა ოქროს რომ მისი დალი აჯდეს, ერთი ფლური არის. ამ ფლურის ფასი დრო არის 7 აბაზად ფასობს, დრო არის, 7 აბაზ უზალთუნად, ხან ერთ შაურ ნაკლებადაც.

ოქროს ფულს საზოგადოდ ერქვა ფლური, ვერცხლისას—თეთრი, ფერის გამო. 1498 წელს ათონის ლავრას ყვარყვარე ათაბაგის სულის მოსახსენებლად მის ჭირისუფლებმა დაუგზავნეს 25.000, ზოგი ფლურად, ზოგი თეთრად (ათონ. კრებ. 267).

ამავე მეფის დასტურლამაში (§ 61 და სხ.) მოხსენებულია ბისტი ფული, სიკილა, მარჩილი, თუმანი, ასლანუ (ასლანი), აბასი (აბაზი), მინალთუნი და სხ. სიკილა არისო 14 შაური. ჩამოთვლილია (გვ. 193):

ერთი ფული	1/2	კაპ.
ორი ფული	1	„
ერთი ბისტი	2	„
ექვსი ფული	3	„
ორი ბისტი	4	„
ერთი შაური	5	„
სამი ბისტი	6	„
14 ფული	7	„
18 ფული	9	„
ორი შაური	10	„
ექვსი შაური	30	„
ერთი მინალთუნი	1	მან.
თუმანი	10	„

ზემოხსენებული კირმანეული ფულია ბიზანტიური, კირმანეულისა. იქაურივე იყო ჩვენში ცნობილი ფულები დუკატი ანუ ფული კონსტანტინე დუკისა (1054—1967), ბოტინატი *) ანუ ფული ნიკიფორე ბოტანიატისა (1078—1081), აგრედვე მიქაელატი, ალექსატი, ჰრომანატი, დიმიტრატი, კიდევ მაჰმადიანური—ყაზანური, თანგა=ტანგა, ოსმალური ფარა, ყურუში, დაბადებაში სულ სხვა საფასეებია ბიზანტიურ-რომაული ანუ ძველ აღმოსავლეთური მათი სახელები:

ასარი. მათე 10—29, ლუკა 12—26 ენციკლოპ ლექსიკონში ასარი გამოცხადებულია ებრაულ ფულად. უდრიდაო აწინდელს კაპიკს, მაგრამ რომაულ-ბერძნული ასსა= ასარიონი გამოანგარიშებულია $2^3/_{20}$ კაპიკად. სიბას განმარტებით ასარი იგივ დანგია. ჩუბინაშვილით ასარი არის დინარის ნახევარი ანუ დანგი. ფინლეით *) დინარი თავდაპირველად ესწორებოდა 10 ასსარიონს, მერე 16-ს.

დრაკანი (1 ნეშტი 29—7) რუსშია დრახმა.

დრაჰკანი. ბერძ. დენარია, რუს. დინარი. იხ. მათე 18—28, 20—2—13, 22—19, მორკ. 6—37, ლუკა 7—41, 10—35, იოანე 6—7, 12—5, გამოცხ. 6—6.

დრაქმა. ბერძნ. დრახმა. ლუკა 15—8, მათე 17—24. 17—27: ურმნისის ნუ ხაშ=„დრაქმა რომელ არს სატირი.“

დიდრაქმა ბერძ. დიდრახმა. მათე 17—24, 1 ეზრა 2—29. რუს-შია დრახმა, ცნობილია ბიზანტიურ-რომაული „დიდრახმა“ და „დრახმა ნერონისა.

კერმა. რუსშია деньги იოანე 2—14—15: მეკერმე ანუ კერმის-მწყველი ანუ კერმის-მსყიდველი мѣновщикъ денегъ. მართლაც, ბერძნული „კერმა“ ნიშნავს ნაშალსაც და ფულსაც საზოგადოდ.

კინსონი. მათე 22—29 ურბნ. ნუსხა: „დრაჰკანი კინსონისა ხარკისა“. ბერძნ. ნომისა კინსუ.

კოდრატი. მათე 5—26: ურბნ. დანგისა ; კოტორი, ბეჭდ. უკანასკნელი კოდრატი, ოდიშ. სახარ: შეურაცხი დანგიცა; ბერძნ. „კოდრანტინ“, ლათ. „კვადრანს“.

სტატირი=სტატირი ბერძნ. სტატერა მათე 17—27. ამის მაგიერ ნუსხებშია: ურბნისისაში სასწური, ოდიშისაში აგრედვე სასწური (=სასწორი).

ტალანტი. (1 ნეშტ 29—7; 2 ეზრა 8—26, მათე 18—24 და სხ.) განსხვავებაა ნუსხებში: ტალანტის მაგიერ ნუსხებშია: № 18—შანთისაა, № 367—შანთისაა, ოდიშისაში ქანქარისაა.

ქანქარი. ნეუმ. 7—70 ქანქარი რუსულშია драхма.

ფული=ფოლი (იხ. საბაში ეს უკანასკნელი). ბიზანტიაში „ფოლლის“ ცნობილია დიოკლეტიანეს დროიდან. მოვერცხლილი სპილენძის—ფოლლი აღებ-მიცემაში უდრიდა ერთ უნკიას (უნცია) სპილენძს; 300 ფოლლი იწონდა 25 გირვანქას, „კვადრანსი შეადგენდა ფოლლის $^1/_4$-ედს.

ბიზანტიაში მსვლელობა ჰქონდა აგრეთვე საფასეს ყურსად (въ слитках) ანუ შანთად და ყოველ ამისთანა ყურსს (შანთს) ჰქონდა თავისი განსაკუთრებული დირებულობა, სწორობა. იყო მაგ. ყურსი (შანთი) ტალანტის სადარი. ან სტატირის სწორი. ამით აიხსნება, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტალანტის ბადლად ჩვენს სახარების ნუსხებში გვხვდება შანთი (ზოდი ლითონისა), სტატირის მაგიერ სასწური.

საფიქრებელია, თვით ჩვენი ფული, ფოლი იყოს მცირე ცვლილება ბიზანტიურის ფოლლისა, ხოლო ჩვენებური ფლური ბერძნულის იმ ფოლლერალესი, რომელსაც რომში ერქვა „ტერუნციანი“. ფოლლებს ერქვა აგრეთვე, რომელსაც უმეტეს უახლოვდება ჩვენი ფოლი.

ვაბოლოებთ იმითაც, რითაც დავიწყეთ. ადგილის დროითობანეც ჩვენი ქვეყანა განთქმული იყო ყოველგვარ საფასით, ეგრეთ წოდებულ „ოქროვანსაწმისის“ ლეგენდა მარტო ოცნება არ ყოფილა. ლითონიანი ადგილები ადნიშნავს ჯერ ისევ ისტორიკოს ვახუშტის. წალენჯი, რკონი, ანდარაზენი, ახტალა, სვანეთი, საინგილო, კლარჯეთი და სხვ. მდიდარია ამ მხრივ. საჭიროა მხოლოდ მცოდნე კაცებმა იმოკმედონ, მიწიან გული ამოთხარონ. დამალული სიმდიდრე გამოამზეონ, თავისუფალ სამშობლოს დროით მოაშველონ ძვირფასი ლითონი. 1473 წელს სმქართველოს მეტად უჭირდა. მცოდნე კაცები დაფაცურდნენ, ახტალას ადმოაჩინეს ოქროვერცხლის მადანი. შეუდგნენ მუშაობას და პირველს ხანშივე სახელმწიფო ხაზინას შეძინეს 60.000 მანეთის ვერცხლი, 3.200 მან. ოქრო, მერე ეს ჯამი 160.000 მდეც ავიდა. მაგრამ მარტო მადნების ძებნა არ კმარა, საჭიროა ახლავე ყველა მეკომურნეა გამოვიღოთ თითო-ოროლა გირვანქა საფასე*) და გადავსცეთ სფინანსო სამინისტროს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს ფულის ჭრას, ჭიდას. თუ მოვინდომეთ, სულ ცოტა 100,000 მდე გირვანქის რაოდენობა შესდგება და ამით დიდძალი ფული მოიჭრება. როგორც ულაშქროდ ვერ მომაგრდება სახელმწიფოს თავისუფლება, ისე და უფრო მეტად უფულოდაც. მაშ ნუ დავიშურებთ ჩვენს წვლილს საკუთარ თავისუფალ საკურთხეველისთვის.

*) გეულისხმობ სპილენძს, ვერცხლს ოქროს. არა მგონია, ქართველს, მეტადრე შეგნებულ ოდგბისას, ეკლესიებს, არ ჰქონდეთ ნახმარი ჭურჭელი, ვერცხლის ნიეთები, ოქროს თასები, გატეხილი ხარები, კოვზები, საყურეები, ბეჭედები. ძველი ფულები, რუსული და სახოგადოდ უცხოელთა სახელმწიფოების თითო-ოროლა ნაჭედები; ყველა ეს უქმად რჩება ბაშინ, როდესაც ჩვენს ძვირფას სამშობლოს დიდს სარგებლობას მოუტანს, თუ ფულად გადიდნო. მე და ჩემი მეგობრები მზად ვართ ვრთ ფუთამდე სპილენძეულობა და სხვ. შეეწიროთ სამშობლოს საკურთხეველს და წარუდგინოთ საფინანსო მინისტრს, თუ ამისთანა შეწირულობას კეთილ ინებებ.

ბ. ჯ.

ფულის ჭედის დროს არ უნდა დავიწყოთ, რომ აბაზი მოასწავებს მტარვალის შაჰ-აბაზის სახელს. შაური აგრეთვე შაჰაურს ყაენურს. უნდა ვიზრუნოთ, ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ უწინდელ მონობის მომაგონებელი საზიზღარი სახელები აბაზი, შაური, და ჩვენს საფასეს დავარქვათ ეროვნული სახელი.

ბ. ჯანაშვილი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ნაცოლი („პროგრეს“) აფთიაქის,

მინერალური წყლების, ლუდის, ღვინის და კვასის.

სოლოლაკი, სერგიევის ქ. № 14, ეზოში მარჯნით. 572

ეძიებ

ფიცალაძე

იღებს ავადმყოფებს სად. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ქ. ქაჩქაჩეში.

ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე

მაჩაგელი

მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. სადამოისა.

სლეპკოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ეძიებ

ბ. წინაშვილი

ყ. ოდესიანტორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და ხასხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. სადამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონეც. ძეგლ. ახლო, „ბოლონდის“ პირდაპირ. 1039

ეძიებ

დ. შარაშანიძე

იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., სადამოთი 5—8 საათამდე. ბაღლოვის ქუჩა, № 7. 2180

ეძიებ

დოქნინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. სადამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკინის კბილის სიექიმე). ტელეფონი 7—38. 518

ეძიებ

ს. ზიგზოვი

[illegible] 4—6

[illegible] მეორე სართული. 1009

ეძიებ

შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე სადამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ეძიებ

კ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). სადამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა. ყერძ. სამკურნალო მიხაილოვს პროსპექტ № 167. 200

ეძიებ

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, სადამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ეძიებ

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა სადამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ეძიებ

ბ. მ. მუხაძე

იღებს სადისტანციო ავადმყოფებს სადამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთაწმინდის ქ. № 87, ოფიცერთა საკუთარ საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვან. შვილისა. ტელეფ. 5—11. 1030

ეძიებ

კავლე არდაზიანი

დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთა, დილის 8—9 ს. და სად. 4—6 ს. ფეოდოროვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ეძიებ

ი. ი. ბერიშვილი

დაბრუნდა და გახაასლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და სადამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ეძიებ

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხასხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მუხკოვის ქ. № 11. 426

ეძიებ

დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. სადამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ეძიებ

ს. ფუსხელიშვილი

[illegible] ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ეძიებ

ნ. ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ სადამოს 5—7 საათამ. ვერადის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

მარტის 20 გაიხსნა

ახალი სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იკურსებენს ცბილის ხაექიმო კაბინეთი ბედოვნურ ცბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—სადამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ლარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნაბასარდიანის პირველი ქერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს).

გორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნაბახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)

ბ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ანეტეზიანი—კბილისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.

ბ. ბ ბარხუდარიანი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.

ბ. ბ. ბენიამინოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ ა დ ა მ ო თ ი:

ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.

ირგვლივ-ლარიგები 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაბახარდიანი. 1010

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა

სავაჭრო-სამრეწველო ბიბლიოთეკა „კომერსანტი“

კერძო პირთა, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.

ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასალოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი“-ს შემწეობით.

„კომერსანტს“ ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.

„კომერსანტი“ თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა დროებში შეიძლება მისი შეძენა.

„კომერსანტებს“ აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიანთ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.

„კომერსანტი“-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორგოვოი“. 1100

განათლების სამინისტროს ნებართვით

სამაფეხულო ბუჰგალტერიის კურსები

(გამოც. მასწ. ბუჰგალტერ-სპეციალისტისა).

კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები ისე ქალები. კურსი სამი თვით. სწავლა იქნება ვრცელი პროგრამით პირობების გაგება—დილის 10 დან 2 საათამდე.

მისამართი: ტფილისი, დუშეთის ქუჩა სახლი № 9. (1-ლი სამილიციონერო უბანი). 576

„საზალოგო საქმე“-ს

რედაქციის კანტორაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ.	3	„
დლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I	4	„
გრდემელი წ. I	3	„
ქართველი მწერლები.	2	„
უცხოეთის „	2	„
შიუკაშვილი—„მეგობრობა“.	—60	„
ჯანაშვილი—„თამარ მეფე“	1 „ 20	„
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“	—40	„
ლლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“	—50	„

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიც შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

სტამბა „სახალხო საქმე“

იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.

საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.

კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

ქართველთა სამხედრო კავშირის ცენტრალური კომიტეტი

აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ კომიტეტის ჩვეულებრივი სხდომები იმართება ორშაბათს და ხუთშაბათს საღამოს 7 საათიდან ქ. ს. კ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ქართველთა სავაჭრო საზოგადოება „ამირანი“

დაარსებული ქართ. სამხედ. კავშირის მთავარ კომიტეტის-მიერ, იწვევს ყველა ქართველს, ორივე სქესის, საგიმნასტიკო სამხედრო ვარჯიშობისთვის, [illegible]

ერის ფიზიკურად მაგარ[illegible] სულიერადაც.

ბოწვთეები ძიღებიან 15 წლიდან. გადასახადი 50 კაპ. თვეში. სწავლა სწარმოებს კვირაში ოთხი დღე. ორშაბათობით და პარასკევობით ვაჟთათვის, ოთხშაბათობით და კვირაობით ქალთათვის. კვირაობით სწავლა იწყება დილის 11½ ს. 1-მდის, [illegible] ჩენ დღეებში საღამოს 6½ ს. 8-მდის. ბინა: ტფილისი სასახლეს ქუჩა, ქართული კლუბის შენობა.

ქართ. ს. კ. ს. კომიტეტი.